მომხმარებელი.ge
www.momxmarebeli.ge
სკითხს აბუქებს

№3-382

15.07.2019

სუპერმარკეტების ქსელ „კარფურს"

შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია

(თბილისი, თვალჭრელიძის 2)

2019 წლის აპრილში მოქალაქის საჩივრის საფუძველზე შევამოწმეთ, თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ისთფოინთში" მდებარე მაღაზია „კარფურში" ნაყიდი კარაქი „ვალიო". ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით: „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში (ეტიკეტზე წარწერით „კარაქი ვალიო") გამოკვლეული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (არაერთგვაროვანი შეფერილობა, გემო, სუნი) არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს". დასკვნაში წერია, რომ „გამოსაკვლევი ნიმუშის გარეთა შედარებით მუქ ფენას დაჰკრავს სიმძაღის სუნი და გემო". ამასთან დაკავშირებით გამოიგზავნა წერილი შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიაში.

2019 წლის 5 ივლისს, სავაჭრო ცენტრ „ისთფოინთში" მდებარე მაღაზია „კარფურში" განმეორებით შევიძინეთ კარაქი „ვალიო", რომელსაც კვლავ აღენიშნებოდა არაერთგვაროვანი შეფერილობა და ჩავაბარეთ ანალიზისათვის ლაბორატორიაში.

ლაბორატორიდან მიღებული პასუხით, „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში გამოკვლეული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (არაერთგვაროვანი შეფერილობა, გემო, სუნი) არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს". დასკვნაში წერია, რომ „გამოსაკვლევი ნიმუშის გარეთა შედარებით მუქ ფენას დაჰკრავს სიმძაღის სუნი და გემო" და „არაერთგვაროვანი შეფერილობა".

პროდუქტის ეტიკეტის ფოტოებს, ლაბორატორიულ დასკვნასა და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;
- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მიერ მითითებულ მაღაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (http://www.facebook.com/momxmarebeli.ge) კომენტირებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

www.moxmarebeli.ge
მომხმარებელი.ge
საკითხს აშუქებს